ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
11-02-2010 № 17
თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით
ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირებისაგან, რომელთა გარიცხვა/ამორიცხვიდან არ არის გასული ათი წელი, განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის (დანართი1,2) მიღება განხორციელდეს 2010 წლის 12 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (IსართულI, ოთახი 124).

2. განცხადებების არსებული წესის თანახმად რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიას (ე.ოხანაშვილი).

3. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბაზების ფორმირებისა და აკადემიური დატვირთვის განყოფილების უფროსს, ხათუნა მხეიძეს.

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, ა.აბშილავა, გ.არაბიძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი

უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტში 24 თებერვლამდე.

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, ა.აბშილავა, გ.არაბიძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 1 -ით.

6. 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აღდგენის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და მისი წარდგენა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა (ხ. მხეიძე) არაუგვიანეს 2010 წლის 26 თებერვლისა.

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,

ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე,
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი,
ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
ბ.მაისურაძე